


## საპენსიო რეფორმა

### II ფაზა

2019 წლის 20 ივნისს, რეფორმეტრის III ფაზა საპენსიო რეფორმის შეფასებით დასრულდა. **სამთავრობო კვლევამ** აჩვენა, რომ რეფორმის 82.4%-ია შესრულებულია და ეს მაჩვენებელი II ფაზის შემდეგ გაიზარდა (38.8%).

### მთავრობის მიხედვით

#### ზოგადი შეფასება




რეფორმის სამოქმედო გეგმის დიდი ნაწილი შესრულდა და დარჩენილია შემდეგი აქტივობები:

1. კასტოდინი ბანკისა და ცენტრალური დეპოზიტარის შერჩევა
2. აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევა ამ ეტაპზე არ მოხდება და შეიქმნება საინვესტიციო სამსახური
3. საინვესტიციო პარამეტრების და რისკმენეჯმენტის მოთხოვნების შემუშავება
4. სოციალური პენსიის ინდექსაციის მექანიზმის შემუშავება

**დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა** რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან **5.89** ქულა დაუწერა, რაც წინა ფაზის შეფასებაზე მეტია, სადაც რეფორმამ **4.10** ქულა მიიღო.

# დაინტერესებულ მხარეთა მიხედვით

## ზოგადი შეფასება



**დისკუსიაზე**, რომელსაც კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საპენსიო სააგენტოს დირექტორი ლევან სურგულაძე და ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი მირზა გელაშვილი ესწრებოდნენ, ხაზი გაუსვეს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს, კერძოდ:

- ფინანსთა სამინისტროს მიხედვით, საპენსიო რეფორმა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და საკრედიტო ორგანიზაციების ანგარიშებში ყველგან მოხსენიებულია როგორც დანაზოგების ხელშემწყობი, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის რეფორმა.
- საპენსიო სააგენტოს მიხედვით, აქტივების მმართველ კომპანიაზე ამ ეტაპისთვის უარი ითქვა, რადგან პორტფელის ზომა პირველ ეტაპზე მცირე იქნება.
- კანონი ითვალისწინებს საპენსიო ფონდის მიერ მობილიზებული თანხების დაბალრისკიან პორტფელში განთავსებას პირველი 5 წლის განმავლობაში. ეს გულისხმობს, რომ აღნიშნულ პორტფელზე ოპერაციულ რისკს, საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკსა და ნებისმიერ სხვა რისკს, აგრერიგებულად ედება ლიმიტი (value at risk), და ამ პორტფელის რისკი არ უნდა გაცდეს შესაბამის ლიმიტებს. სტანდარტული განაწილება პორტფელის ასეთია: ნაწილი ფულადი სახსრებით იქნება შენახული, ნაწილი - სახაზინო ვალდებულებებით, ნაწილი კი - კორპორატიული ობლიგაციებით, მათ შორის ევრობონდებითაც.
- საშუალო ხელფასების დინამიკას თუ დავაკვირდებით დავინახავთ, რომ პირველ კვარტალში 3%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 2015 წლიდან მოყოლებული ყველაზე დაბალი ზრდაა, ამიტომ საჭიროა საპენსიო რეფორმის გავლენა შეფასდეს ხელფასების დინამიკაზეც.
- ჩანაცვლების კოეფიციენტს იმიტომ ვიღებთ ინდიკატორად, რომ საპენსიო რეფორმა არ ისახავს მიზნად ქვეყნის გამდიდრებას, არამედ იმას, რომ პენსიაში გასვლა გახდეს უფრო უმტკივნეულო.

- ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის მიხედვით, კაპიტალის ბაზრის განვითარება პირდაპირ კავშირშია საპენსიო რეფორმასთან და ის ვერ იქნება წარმატებული თუ არ შეიქმნება მყარი საპენსიო სისტემა, ამას საერთაშორისო გამოცდილებაც ადასტურებს. ერთმანეთის გარეშე ორივე რეფორმა განწირულია კრახისათვის.
- კერძო სადაზღვეო ფონდები ვერ ვითარდება ქვეყანაში და პორტფელი იმ კომპანებისა, ვინც ახორციელებს ამ მომსახურებას არის ძალიან მცირე. ეს ხდება ორი მთავარი მიზეზის გამო - დაზოგვის კულტურა არის ძალიან დაბალი ქვეყანაში, ამიტომ აუცილებელი იყო სავალდებულო შენატანის შექმნა და საგადასახადო სტიმულირების მხრივ პოლიტიკა არ იყო სწორი ამ სეგმენტთან მიმართებაში. კერძო სადაზღვეო ფონდების განვითარებაც აუცილებელია და საჭიროა იმავე მიდგომების გამოყენებაც, რაც საპენსიო ფონდის შემთხვევაში.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**GEORGIA**



Governing for  
Growth  
in Georgia



**ReforMeter**

Tracking Progress - One Reform at a Time



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**GEORGIA**



Governing for  
Growth  
in Georgia

## დღის წესრიგი

10:30 მისალმება - ჟან-ფრედერიკ პოლსენი, ISET

10:40 საპენსიო რეფორმის მიმოხილვა - გიგლა მიქაუტაძე, ISET

10:50 საპენსიო ფონდის საქმიანობის მიმოხილვა და სტატისტიკური მონაცემები -  
ლევან სურგულაძე, საპენსიო სააგენტოს დირექტორი

11:10 საპენსიო რეფორმის გავლენა ეკონომიკაზე - მირზა გელაშვილი, ფინანსთა  
სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის  
დეპარტამენტის უფროსი

11:30 დისკუსია

12:30 შეჯამება

**ISET**

International School of Economics at TSU  
Policy Institute



**USAID** | **GEORGIA**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for  
Growth  
in Georgia

# რეფორმის მიმოხილვა

## საპენსიო რეფორმა

2019 - III

**ReforMeter**



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**GEORGIA**



Governing for  
Growth  
in Georgia

სტრატეგია  
2016

სამოქმედო  
გეგმა

2 წლიანი

# საქართველოს საპენსიო რეფორმა

- არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია
- კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა

**ReforMeter**

Tracking Progress - One Reform at a Time


**ISET**




## რეფორმის შესრულება

### მთავრობის მიხედვით

#### ზოგადი შეფასება



ინსტიტუციური  
მონაცემები



კომპეტენციის  
გაძლიერება



ინფრასტრუქტურა  
და ბიუჯეტი



სამართლებრივი  
ჩარჩო



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა

100% - გეგმა სრულად შესრულდა





# დარჩენილი აქტივობები

1. კასტოდიანი ბანკის შერჩევა
2. ცენტრალური დეპოზიტარის შერჩევა
3. აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევა ამ ეტაპზე არ მოხდება - შეიქმნება საინვესტიციო სამსახური
4. საინვესტიციო პარამეტრების და რისკმენეჯმენტის მოთხოვნების შემუშავება
5. სოციალური პენსიის ინდექსაციის მექანიზმის შემუშავება